ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №35-106

2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ^2“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე.ე^2“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 22–ე მუხლების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში აიკრძალოს M_3, N_2, N_3 და T კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები:

ა) არ ვრცელდება:

ა.ა) საჯარო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის მოძრავ სატრანსპორტო საშუალებაზე, რის თაობაზეც საჯარო დაწესებულება ინფორმაციას მიაწვდის მუნიციპალიტეტს;

ა.ბ) ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე აღჭურვილია ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმციმა სიგნალით;

ა.გ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე;

ა.დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლითაც ბავშვის, მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, სტუდენტის ან/და იმავე დაწესებულების თანამშრომლის/იმავე დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირის გადაყვანა ხორციელდება;

ა.ე) იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ამ დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2-ით დადგენილი წესით გასცა თანხმობა და რომელიც ამ თანხმობის შესაბამისად მოძრაობს;

ა.ვ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერების მიზნით ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელ M_3 კატეგორიის

სატრანსპორტო საშუალებებზე იმ პირობით, რომ მათი მარშრუტ(ებ)ი წინასწარ არის შეთანხმებული მუნიციპალიტეტთან;

ა.ზ) საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემომავალ M_3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა მოძრაობის მარშრუტები დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისად;

ა.თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე.

ა.თ[1]) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების მონაწილე მხარის სატრანსპორტო საშუალებებზე, შემსყიდველი ორგანიზაციის ინიციატივით საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე ღონისძიების შემჭიდროვებულ ვადებში ჩასატარებლად, შესაბამისი ვადით;

ა.ი) კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კუთვნილ საინკასაციო ტრანსპორტზე, რომელსაც ჩართული აქვს ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმციმა სიგნალი;

ა.კ) არაგეგმიური საავარიო და სიცოცხლის/ჯანმრთელობის საფრთხის შემთხვევების აღმოსაფხვრელად საჭირო სატრანსპორტო საშუალებებზე;

ა.ლ) ბეტონმზიდ მანქანებზე;

ა.მ) ნავთობპროდუქტების გადამზიდველ სატრანსპორტო საშუალებებზე – 08:00-11:00 საათების შუალედში;

ა.ნ) ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდების/ტრანსპორტირებისის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებზე – 08:00-11:00 საათების შუალედში;

ა.ო) დაგვა-დასუფთავების განმახორციელებელ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებებზე;

ბ) არ მოქმედებს:

ბ.ა) კალენდარული წლის აგვისტოს თვეში;

ბ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში;

ბ.გ) შაბათს და კვირას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის დადგენილება №37-13 - ვებგვერდი, 21.02.2024წ.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის დადგენილება №38-21 - ვებგვერდი, 02.04.2024 წ.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №43-68 - ვებგვერდი, 19.08.2024 წ.

მუხლი 1[1]

1. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები, სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირების მიზნით, ვალდებული არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში მოთხოვნილ სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად წარადგინონ შემდეგი ინფორმაცია:

ა) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ M_3, N_2, N_3, T

კატეგორიების სატრანსპორტო საშუალება, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, გამოიყენება საჯარო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის აკრძალულ პერიოდში და თან დაურთოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ M_3, N_2, N_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებაზე, რეგისტრაციის ნომრის

მითითებით, გაცემულია ნებართვა ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმციმა სიგნალის გამოყენებაზე და თან დაურთოს აღნიშნული ნებართვის ასლი, ასევე სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა და სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაწესებულების ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია M_3 კატეგორიის სატრანსპორტო

საშუალების შესახებ, რეგისტრაციის ნომრის მითითებით და სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ კუთვნილი M_3, N_2, N_3, T კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება,

რეგისტრაციის ნომრის მითითებით, გამოიყენება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის აკრძალულ პერიოდში და დაურთოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.თ1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის წერილობითი ინფორმაცია (აუცილებლობისას ზეპირი მოთხოვნით, რომელიც წერილობით უნდა მიიწეროს პირველივე სამუშაო დღეს) იმასთან დაკავშირებით, რომ კონტრაქტორის M_3, N_2, N_3, T

კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, გამოიყენება აკრძალულ პერიოდში იმ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის (კონკრეტული პროექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციით), რომელიც აუცილებელია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე ღონისძიების შემჭიდროვებულ ვადებში დასრულებისათვის და დაურთოს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების კატეგორიის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.გ“, „ა.ვ“, „ა.ზ“, „ა.ი“-„ა.ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირები, სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირების მიზნით, ვალდებული არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მოთხოვნილ სხვა დამატებით ინფორმაციასთან ერთად, წარადგინონ ინფორმაცია M_3, N_2, N_3, T

კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების თაობაზე, რეგისტრაციის ნომრის მითითებით, რომლებიც გამოყენებული იქნებიან აკრძალულ პერიოდში.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ინფორმაციის წარდგენისას, თუ უფლებამოსილ პირს საკუთრებაში არ ჰყავს სატრანსპორტო საშუალება, მაშინ იგი ვალდებულია ინფორმაციას დაურთოს სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის წერილობითი თანხმობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის დადგენილება №37-13 - ვებგვერდი, 21.02.2024წ.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის დადგენილება №38-21 - ვებგვერდი, 02.04.2024 წ.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №43-68 - ვებგვერდი, 19.08.2024 წ.

მუხლი 2

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა (გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისებისა), დამტკიცდეს დანართი 1-ის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 1-ით გათვალისწინებული საავტომობილო გზების გარდა სხვა საავტომობილო გზებზე არ ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის დადგენილება №37-13 - ვებგვერდი, 21.02.2024წ.

მუხლი 3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ამ დადგენილებით განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევით გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესი დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებით.

მუხლი 4

1. ამ წესის მოთხოვნების დაუცველობისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლით საჯარიმო ქვითრის შედგენა ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემით (Protocols), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება წვდომა ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებულ ინფორმაციაზე.

2. საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5

1. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ნ“ ქვეპუნქტი ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 აგვისტოს დადგენილება №43-68 - ვებგვერდი, 19.08.2024 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი 2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის დადგენილება №37-13 - ვებგვერდი, 21.02.2024წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ თანხმობის მიცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში M_3, N_2, N_3 და T კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობაზე თანხმობის მისაღებად განმცხადებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, წარდგენილი დოკუმენტების განხილვის პირობებს, თანხმობის მიცემის წესს, აკრძალული საათების შუალედში სააგენტოს თანხმობის გარეშე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

მუხლი 2. თანხმობის მიცემის მიზნით წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

თანხმობის მიღების მსურველი პირი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი, წერილობითი განცხადების საფუძველზე, მიმართავს სააგენტოს და თანხმობის მიღების აუცილებლობის დასაბუთებით წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) განმცხადებლის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის რეგისტრაციის მოწმობას/მოწმობებს;

ბ) სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელ მოწმობას/მოწმობებს;

გ) სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის ვიზუალურ ფოტოსურათ(ებ)ს სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის რეგისტრაციის ნომრ(ებ)ის მითითებით;

დ) საჭიროების შემთხვევაში სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილ ნებისმიერ სხვა დოკუმენტს.

მუხლი 3. წარდგენილი დოკუმენტების სააგენტოს მიერ განხილვა

1. სააგენტოს უფროსი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი თანხმობას გასცემს ან თანხმობის მიცემაზე უარს ამბობს წერილობითი ფორმით.

2. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანხმობის მისაღებად განმცხადებლისათვის ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიცემული 5 სამუშაო დღის შემდეგ გამოუსწორებლობა იწვევს განცხადების განუხილველად დატოვებას.

3. სააგენტოს თანხმობა მოქმედებს მოთხოვნილი ვადით, მაგრამ როგორც წესი არაუმეტეს 1 წლის ვადით.

4. სააგენტოს თანხმობა უქმდება სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მონაცემების ცვლილებისას და ასეთ შემთხვევაში სააგენტოს თანხმობის გაუქმების შესახებ არ ეცნობება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მოძრაობა სააგენტოს მიერ მიცემული თანხმობის დარღვევით ან თანხმობის გარეშე გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135^2 მუხლის შესაბამისად.